<u>დანართი N2</u>

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კონკურსის „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულება

კონკურსი განხორციელდება „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 32 09 02)

პრიორიტეტის- **„კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“** ფარგლებში

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის - „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია:

ა) სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოს რეგიონებში არსებულ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისთვის;

ბ) დევნილი ბავშვებისა და მოზარდების ინტერესთა შესაბამისად, სხვადასხვა სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა;

გ) სხვადასხვა არაფორმალურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებში დევნილი ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის გზით, მათი შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

დ) ელექტრონული, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით კულტურის პროდუქტის შექმნა და მასზე დისტანციური ხელმისაწვდომობა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შემდგომში - კონკურსანტი).

2. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა;

3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

4. კონკურსში საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი ინიციატივის/ღონისძიების - (შემდგომში-პროექტი) დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2020 წლის 15 ივლისისა ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს 2020 წლის 10 დეკემბრისა.

5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 230 000 ლარს, რომლის ფარგლებშიც მოწონებული პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

6. კონკურსში უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს პროექტს:

ა) რომელიც, ითვალისწინებს საკითხისადმი ინოვაციურ მიდგომებს (მათ შორის პროექტის დისტანციური საშუალებებით განხორციელების შესაძლებლობას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვ.) და პასუხობს ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოში და ზოგადად მსოფლიოში შექმნილ ვითარებასა და დადგენილ შეზღუდვებს.

ბ) რომელიც, ითვალისწინებს პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას;

გ) რომლის წარმომდგენს კონკურსანტსაც, გააჩნია შესაბამისი მიმართულებით პროექტის/ების განხორციელების გამოცდილება.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) **განცხადება** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში-მინისტრი) სახელზე, „საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სფეროში დამტკიცებული პროგრამის პრიორიტეტებით განსაზღვრული კონკურსის/ების ფარგლებში წარმოსადგენი დანართების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N214 ბრძანებით (შემდგომში - მინისტრის ბრძანება) დამტკიცებული ფორმის (დანართი N1) შესაბამისად;

ბ) **საპროექტო განაცხადი** - მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია და შესაბამისი სასწავლო გეგმა;

ბ.ბ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;

ბ.გ) პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში, ინფორმაცია თანამონაწილეობის ფორმის თაობაზე და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებობის შემთხვევაში;

ბ.დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ (გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციებისა);

ბ.ე) მოთხოვნილი თანხის ფარგლებში შესაძენი საქონლისა და მომსახურების შესაბამისი წინასწარი ინვოისები/ხელშეკრულებები (ბაზრის კვლევა).

2. კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება (გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციებისა).

4. პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი N4) შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და ვიზუალური მასალით).

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. სამინისტროში რეგისტრირებულ საპროექტო/საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

2. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, **30 ქულის ფარგლებში.**

	შეფასების კრიტერიუმი
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა

3. საკონკურსო განაცხადების განხილვისას, კომისია იხელმძღვანელებს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობითა და როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ისე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებით.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროექტის მოწონების შესახებ;

ბ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ;

ე) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით;

ვ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90 % -ის ოდენობით.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვავაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც ამავე მუხლის მეორე პუნქტის პირველი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს.

6. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის პროექტი, რომელიც დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

7. საკონკურსო კომისიის მიერ, პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის, ან დაზუსტებული საპროექტო განაცხადის (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის -(დანართი N3)) წარმოდგენა კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში.

8. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული საპროექტო განაცხადის (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი N3)), წარმოდგენის თაობაზე, საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;

9. კონკურსანტი ვალდებულია, დაზუსტების მიზნით, საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დაზუსტებული საპროექტო განაცხადი (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი N3)), საკონკურსო კომისიას წარმოუდგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

10. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის ან/და დაზუსტებული საპროექტო განაცხადი (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი N3)), წარმოუდგენლობის, ან არასრულყოფილად, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით მოიხსნება კონკურსიდან.

11. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა, დარგობრივი დეპარტამენტის ზედამხედველი მინისტრის მოადგილის მოხსენებითი ბარათით დასამტკიცებლად წარედგინება მინისტრს. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მტკიცდება გამარჯვებული პროექტების ნუსხა, რის საფუძველზეც ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მზადდება ბრძანება გამარჯვებული პროექტის/ების დაფინანსების შესახებ.

12. გამარჯვებული პროექტის/ების დაფინანსების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, პროექტის განხორციელებამდე ფორმდება „პროექტის ფინანსური ხელშეწყობის შესახებ“ ხელშეკრულება პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან, გარდა კონკურსში გამარჯვებული სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციებისა, რომელთა დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის N111 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების დაფინანსების წესი და პირობები“-ს შესაბამისად.

13. კონკურსის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და კონკურსის ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული დოკუმენტაცია არ საჯაროვდება.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. პროექტების განმახორციელებელ პირებთან, ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციებისა).

2. წინასწარი ანგარიშსწორება საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

3. წინასწარი ანგარიშსწორება პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90 %-ის ოდენობით, შესაძლებელია, მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით.

4. ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში პუნქტთაშორისი ცვლილებები დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის 10% - ის ფარგლებში და არ საჭიროებს სამინისტროსთან შეთანხმებას, გარდა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების და წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლებში თანხების დამატებისა.

ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული შეზღუდვის ზევით ცვლილების შეტანა საჭიროებს სათანადო დასაბუთებით სამინისტროსთან წინასწარ წერილობით შეთანხმებას.

5. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული პუნქტების გარდა, ახალი პუნქტის/ების დამატების აუცილებლობის შემთხვევაში, პირი ვალდებულია აღნიშნული საკითხი, დასაბუთების საფუძველზე, წინასწარ წერილობით შეათანხმოს სამინისტროსთან. ამასთან, დამატებული პუნქტის/ების ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ს და ასევე არ უნდა იწვევდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ზრდას.

6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის, ფორმატის, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვის (პუნქტებს შორის ცვლილება, თუ სხვა ფინანსურ ვალდებულება) და სხვა თემატური ცვლილების ან/და მისი მოშლის შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო, პროექტის განმახორციელებელი პირის წინასწარი დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე.

მუხლი 6. კონკურსის ვადები

1. კონკურსის ფარგლებში საპროექტო განაცხადებისა და სხვა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება:

ა) მატერიალური სახით 2020 წლის 11 მარტიდან 2020 წლის 17 მარტამდე სამინისტროში (მის. ქ. თბილისი უზნაძის ქ. N52 ან ქ. თბილისი სანაპიროს ქ. N4);

ბ) ელექტრონული ფორმით 2020 წლის 17 მარტიდან 2020 წლის 22 მაისის 18 საათამდე, მისამართზე: culturesupport@mes.gov.ge.

გ) მატერიალური სახით 2020 წლის 23 მაისიდან 2020 წლის 1 ივნისის 18 საათამდე სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი უზნაძის ქ. N52 ან ქ. თბილისი სანაპიროს ქ. N4).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია (განცხადება და საპროექტო განაცხადი) წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით (დასკანერებული ან ფოტო ფაილის სახით) და საკონკურსო დებულებით გათვალისწინებული ვადის დაცვით.

3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება სამინისტროს ვებგვერდზე: www.mes.gov.ge, არაუგვიანეს 2020 წლის 7 ივლისისა.

4. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე:

ა) კონსულტაციები გაიმართება სამინისტროში მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.:

ა.ა) 2020 წლის 5 მარტს 14:00 სთ-ზე;

ა.ბ) 2020 წლის 11 მარტს 14:00 სთ-ზე.

ბ) 2020 წლის 17 მარტიდან, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ კითხვების არსებობის შემთხვევაში, კონსულტაციები 2020 წლის 22 მაისამდე მიიღონ ელექტრონულად, მისამართზე culturesupport@mes.gov.ge.

5. კონკურსის დასრულების შემდეგ, სამინისტროში მატერიალური სახით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ უბრუნდება.